ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

4 აპრილი
ხუთშაბათი
2024 წელი
№14 (9328)
ფასი 40 თეთრი

პრემიერ-მინისტრის შეხვედრა სტუდენტებთან ქუთაისში

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გიორგი ამილახვარი, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად, აგრძელებს სტუდენტებთან შეხვედრებს.

ამჯერად, შეხვედრა ქალაქ ქუთაისში ყველა რეგიონული სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები კურსდამთავრებულთა სტაჟირების პროგრამას დეტალურად გაეცნენ.

პრემიერ-მინისტრმა და მინისტრმა, სტუდენტებთან ერთად, სტაჟირების პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულთა შერჩევის კრიტერიუმები, შეფასების მეთოდები და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები განიხილეს და სტუდენტებს ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების ახალი ხედვა გააცნეს.

ამ პროგრამის მთავარი ამოცანა არის ის, რომ კურსდამთავრებულებს გაუადვილდეთ პროფესიულ ცხოვრებაში შესვლა, რაც მათ ხელს შეუწყობს შემდგომ კარიერულ ზრდაში. ეს არის მთავარი ამოცანა. პარლამენტმა მიიღო ამ საკითხთან დაკავშირებით კანონი ჯერ კიდევ შარშან და სწორედ ამ კანონის საფუძველზე წელს მთავრობამ დააანონსა ეს ახალი პროგრამა“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძის თქმით, პროგრამა სტუდენტებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე, მათი რჩევების გათვალისწინებით ამოქმედდება.

- ბევრი რამ იქნება დამოკიდებული დეტალებზე. ჩვენ არ გვინდა, რომ ცალმხრივად შევიმუშაოთ პროგრამა. ამ პროგრამის მთავარი მოსარგებლეები არიან კურსდამთავრებულები, სტუდენტები, და, თუ თქვენგან

არ მოვისმენთ იმას, თუ როგორ იქნება უკეთესი ამ პროგრამის ჩამოყალიბება, შეიძლება „სტარტი“, დასაწყისი არ გამოვიდეს წარმატებული. ამიტომ გვინდა კონსულტაციები გავიაროთ, თქვენგან მივიღოთ რჩევები. გავაგრძელებთ კონსულტაციებს და გვინდა, რომ სწორედ ასეთი კონსულტაციების საფუძველზე მივცეთ საბოლოო სახე ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამას, რომელიც უკვე სექტემბრიდან უნდა ამოქმედდეს.

დარწმუნებული ვარ, რომ დღეს გვექნება ნაყოფიერი დისკუსია ყველა საკითხთან დაკავშირებით. ძალიან ნაყოფიერი იყო სტუდენტებთან წინა შეხვედრა. ველოდებით, რა თქმა უნდა, ასეთივე საინტერესო დისკუსიას თქვენთან, - აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

პრეზენტაციის შემდგომ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში ნარიმართა და სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა, კურსდამთავრებულთა სტაჟირების პროგრამის შესახებ საკუთარი მოსაზრებები გაეზიარებინათ და მათთვის საინტერესო, აქტუალურ საკითხებზე ინფორმაცია პრემიერ-მინისტრისა და მინისტრისგან მიეღოთ.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა, რათა სწორედ მათი ჩართულობით განხორციელდეს ახალი მასშტაბური ინიციატივები. სტუდენტებთან რეგულარული შეხვედრების ჩატარება სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

ქუთაისში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. მსგავსი ტიპის შეხვედრა უკვე ჩატარდა თბილისში არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებთან, უახლოეს მომავალში კი, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის დაწყებიდან პირველივე წელს უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის 4-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების გავლას ყველა საჯარო დაწესებულებაში, რომელზეც ვრცელდება სტაჟირების მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, 2024 წლის სექტემბრიდან სახელმწიფო უწყებებში დაახლოებით 3 000-ზე მეტი კურსდამთავრებული გაივლის ანაზღაურებად სტაჟირებას სასურველ რეგიონში.

პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მეოთხე კურსის სტუდენტებს. მონაწილეთა შერჩევა 2024 წლის ივლისში დაიწყება - საჯაროდ გამოქვეყნდება ვაკანსიები, მოთხოვნები და კრიტერიუმები, შემდეგ კი დაიწყება განაცხადების მიღების პროცესი.

დაიწყო „ცოფიანი ღელის“ ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაცია

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის მრავალრიცხოვან განსახორციელებელ პროექტებს შორისაა ახალშენში არსებული მეტად არასასიამოვნო სახელის მქონე მშრალი ხევის ე.წ. „ცოფიანი ღელის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ახალშენელები დიდი ხანია ითხოვდნენ ხევის რეაბილიტაციას, მაგრამ მათი თხოვნა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

მოსახლეობა კოკისპირული წვიმებისას, შიშსა და თავზარდაცემაში ატარებდა დღეებს, შემთხვევითი არაა მისი სახელწოდებაც. ამ მშრალმა ღელემ თავსხმა წვიმების დროს ისეთი ადიდება იცის, - მტრისას, ღელეში წვიმის წყალი კი არ მოედინება, არამედ მოთხრილი ხეები, მთის ფერდობებიდან ჩამორეცხილი ლამი, ქვიშა, ღორღი მოაქვს და გრიგალის მსგავსი ხმაურით ასკდება ღელის ნაპირებს.

წლების წინათ ნიაღვარმა ზოგს საცხოვრებელი სახლი მოსტაცა, ზოგს კიდევ პირუტყვი და მსუბუქი ავტომანქანაც.

უკანასკნელი წლების მანძილზე ბუნება მკვეთრად შეიცვალა და აგრესიული გახდა. ამიტომაც იყო, რომ გასულ წელს მერიას მოსახლეობის კოლექტიური წერილი გადასცეს, რომლებიც ითხოვდნენ „მშრალი ღელის“ კალაპოტის ამოსუფთავებას და ღელის საყრდენი კედლების ჩასხმას.

მერიის ხელმძღვანელობამ საფუძვლიანად შეისწავლა მოსახლეობის განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და მიიღო გადაწყვეტილება მშრალი ხევის რეაბილიტაციის თაობაზე.

გამოცხადებულ ტენდერში სამშენებლო ფირმამ „მარეთი - 777“-მა გაიმარჯვა, ქვეკონტრაქტორია შპს „აორი“ (უფროსი **გიორგი ბლიაძე**). სამუშაოთა მწარმოებელია **სტეფანე გელაშვილი.**

„მშრალი ღელის“ განმენდა 21 მარტს დაიწყება მძლავრი ექსკავატორის მემანქანე **ნიკო ნოზაძე** ყოველდღიურად ათობით მანქანას ტვირთავს ნიაღვრის ნატანს. ერთგულად შრომობენ თვითმცლელი მანქანების მძღოლები **ედუარდ კაზაზიანი**, **ალიკა ოსაძე** და **ირაკლი გიორგაძე.**

„მშრალი ღელის“ მიწის სამუშაოების დამთავრების შემდეგ ორივე მხარეს ჩაისხმევა რკინა-ბეტონის საყრდენი კედლები, ხოლო ძირზე დაიგება არმირებული რკინა-ბეტონი.

პროექტის ფარგლებში მშრალი ხევის სიგრძე დაახლოებით 108 მეტრით დაგრძელდება და შეუერთდება ძველ არსებულ არხს.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 459350 ლარია გამოყოფილი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, მიმდინარე წელს არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას გეგმავს.

ვალერიან ლომიძე.

დახმარება ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, მარტის თვეში, 1 068 ბენეფიციარს 326 551 ლარის დახმარება გაეწია.

მათ შორის:

201 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 18 832 ლარი გამოიყო;

130 ბენეფიციარი მედიკამენტების შესაძენად 24 932 ლარით დაფინანსდა;

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 41 პაციენტი 43 491 ლარით დაფინანსდა;

109 მრავალშვილიანი ოჯახი 26 250 ლარით დაფინანსდა;

300 ოჯახი კომუნალური გადასახადებისათვის 11 100 ლარით დაფინანსდა;

ასევე, სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.

ტრაგედია ბაკურიანში

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველებმა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, თოვლის მასაში მოყოლილი მამაკაცის ცხედარი, ინტენსიური საძიებო სამუშაოების შედეგად იპოვეს.

სამუშაოებში ჩართული იყო 200-მდე მეხანძრე-მაშველი, სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი, სამაშველო დრონები, კინოლოგთა სამსახური და საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლები.

გარდაცვლილის ცხედარი მაშველების მიერ ამოყვანილია თოვლის მასიდან და მიმდინარეობს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები.

სამძიმარი თოვლში დაღუპულ ოჯახს

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ დაბა ბაკურიანში თოვლის მასაში მოყოლილი სპორტსმენის

დიმიტრი გოგოლაძის **გარდაცვალების გამო.**

სამძიმარს ვუცხადებ დაღუპულის ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეგობრებს და სრულიად ბაკურიანს.

ოთარ არბოლიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ დაბა ბაკურიანში ზვავში მოყოლილი

დიმიტრი (დიტო) გოგოლაძის

გარდაცვალების გამო.

28 მარტს დიმიტრი მეგობრებთან ერთად თოვლმავლებით ტურში იმყოფებოდა, როდესაც მთის ფერდობიდან თოვლის მასა ჩამოიშალა და სამწუხაროდ დიტოს სიცოცხლე იმსხვერპლა. 4 ადამიანი კი გადაურჩა ამ უბედურ შემთხვევას.

მინდა, მადლობა გადავუხადო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველებს, ბაკურიანის მაცხოვრებლებს და დიტო გოგოლაძის მეგობრებს, რომლებიც, რთული მეტეოროლოგიური პირობებისა და რელიეფის მიუხედავად, 4 დღის განმავლობაში, ინტენსიურად ეძებდნენ ზვავში მოყოლილ პიროვნებას.

სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ სახელით ღრმა მწუხარებასა და თანადგომას ვუცხადებ დიმიტრის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს, სრულიად ბაკურიანს.

ეკატერინე ორჯონიკიძე
სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე

იწყება ღობეების რეაბილიტაცია

ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში, ბორჯომის ქუჩაზე ცენტრალური გზის გამყოლი ღობეების რეაბილიტაცია 1 აპრილიდან დაიწყება.

პროექტის ფარგლებში, მოეწყობა ქუჩების მიმდებარე სახლების ღობეები, ჭიშკრები და გარე განათების სისტემა.

სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება.

აღნიშნული პროექტი ბორჯომის, როგორც საკურორტო ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით უმნიშვნელოვანესია. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სამუშაოები სხვადასხვა ობიექტებზე დაწყებულია და წლის ბოლომდე გაგრძელდება.

ქართულ ანბანთან ერთად საქართველოც კვდება!!!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2024 წლის 20 მარტის (№33) ნომერში რუბრიკით „ო, ენავ, ჩემო“ და მეტად შემაძრწუნებელი სათაურით „ქართულ ანბანთან ერთად საქართველოც კვდება!!!“ გამოქვეყნდა ბორჯომელთათვის კარგად ნაცნობი პიროვნების 90-იან წლებში ბორჯომ-ახალქალაქის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე ანანია ჯაფარიძის ვრცელი წერილი, რომელიც ეხება საქართველოს განათლების სისტემაში არსებულ მეტად არასასიამოვნო მოვლენებს.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს თავის წერილში მოყავს საერთაშორისო პროგრამის მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების (PISA) დასკვნები, რომლის გამოკვლევითაც საქართველოს მოსწავლეები 81 ქვეყანას შორის 67 ადგილზე არიან. როგორც ირკვევა PISA - საერთაშორისო დონის გამოკვლევაა და ეს ორგანიზაცია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ აფასებს 15 წლის მოზარდების სწავლის ხარისხს.

PISA-ს 2022 წლის კვლევით ქართველი ბავშვების სასკოლო განათლების დონე ძალზე დაბალია. ამასთან, ზოგადად, ქართველი ბავშვების და სწავლის ხარისხი გაცილებით დაქვეითებულია, ვიდრე საშუალოდ არსებული მსოფლიოს ბავშვთა განათლების დონე. კერძოდ, ამავე მაჩვენებელს ამტკიცებს საერთაშორისო ორგანიზაცია „ეკონომიკური თანამშრომლობა და განვითარება“.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 15 წლის ბავშვთა განათლების დონით მოკვლევაში მონაწილე 81 ქვეყანას შორის საპრიზო ადგილზე აზიის ქვეყნები არიან: სინგაპური, ტაივანი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ევროპის ქვეყნებიდან - ესტონეთი, რუსეთმა 31-ე ადგილი დაიკავა, საქართველომ კი ერთ-ერთი ბოლო ადგილი.

ბუნებრივად იბადება კითხვა, რა არის ამ საგანგაშო ფაქტის მიზეზი?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამის უმთავრესი მიზეზია 15-16 წლის მოზარდების მიერ მშობლიური ქართული ანბანის ცუდი ცოდნა. ქართველ ბავშვებს მშობლიური ანბანით დაწერილი ტექტის წაკითხვა უჭირთ, რადგან ისინი, როგორც წესი, მობილური ტელეფონით ,,მესიჯობენ“, ანუ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას ქართულ წერილებს ერთმანეთს ლათინურ-ინგლისური ასოებით უგზავნიან, რაც ქართულთან შედარებით უკეთესად აქვთ ათვისებული, რადგან თვლიან, რომ უცხო დამწერლობა მათთვის შინაურულია, ხოლო ქართული ანბანი სასკოლო გამოყენებისაა, ამიტომაც უჭირთ ქართული ანბანით ნაწერი ტექსტის შესაბამისი გააზრება.

მოსწავლეთა მშობლებისათვის XXI საუკუნის მთავარ პრობლემას შვილების მობილურ ტელეფონზე ასეთი აქტიური დამოკიდებულება წარმოადგენს.

კვლევამ აჩვენა, რომ ,,მესიჯობის“ დროს ქართველი თინეიჯერები ძირითადად არა ქართულ, არამედ ლათინურ შრიფტს იყენებენ, ამასთან გრამატიკულ სტანდარტებს არღვევენ. სიტყვებს ამოკლებენ, შესაბამისად შეცდომით წერენ.

საერთაშორისო კვლევის დროს მოსწავლეებს გრამატიკული ტესტი მისცეს და ჰკითხეს, რამდენად ხშირად ,,მესიჯობდნენ“. აღმოჩნდა, რომ ,,მესიჯობის“ სიხშირემ გავლენა მოახდინა ტესტის შედეგზე. უარესი შედეგი იმათ ქონდათ, ვინც უფრო ხშირად ,,მესიჯობს“, ამბობს კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი - დრიუ სუნგელი.

როგორც კვლევებმა ცხადყო, მარტო ქართველი მოზარდები კი არ იყენებენ მასობრივად უცხო, ლათინურ შრიფტს ქართული სიტყვების ტელეფონში ჩასაწერად, არამედ სახელმწიფო უმაღლესი დაწესებულებები, ასე მაგალითად, ქართულენოვან შეტყობინებებს ლათინური შრიფტით წერს სამთავრობო საიტი, პოლიცია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112, მსხვილი ბანკები, წყალმომარაგება, ელქსელები, ჯანდაცვა და ბევრი სხვა დაწესებულება.

,,დაიცავით პირადი ჰიგიენა, აუცილებელი საჭიროების გარეშე არ გახვიდეთ სახლიდან, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ 60 წელს გადაცილებულებს, საჭიროების შემთხვევაში დაიცავით თვითიზოლაციის წესები, მაღალი სიცხისას და ხველებისას მიმართეთ ექიმს. გისურვებთ ჯანმრთელობას“. ამ ტექსტს მთავრობა ლათინური შრიფტით წერს. ნუთუ ამ ტექსტის გავრცელება ქართული შრიფტით არ შეიძლებოდა? როგორც ჩანს, ეს ტექსტი ლათინური ალფავიტით იმიტომ დაიწერა, რომ ყველა მოქალაქის ტელეფონში ქართული ენის მხარდამჭერი არ ყავს.

2022 წლის საერთაშორისო კვლევაში 81 ქვეყნის 680 ათასი მოსწავლე მონაწილეობდა. მათ შორის საქართველოდან ტესტირებაში 267 სკოლის 6583 მოსწავლე იყო (2022 წლის საპილოტე) კვლევა 2021 წლის მარტსა და აპრილში ჩატარდა და 15 წლის მოსწავლეთა 95 პროცენტი მოიცვა. ამ მონაცემებით საქართველოს ბავშვების ჩამორჩენის ხარისხი უახლოვდება ბოლო ათეულში მყოფ კამბოჯელის, უზბეკის, პარაგვაის, დომენიკის რესპუბლიკების ბავშვთა განათლების დონეს. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი გაცილებით წინაა ამ კვლევაში.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს **„ესაა საგანგაშო შედეგები, რომელსაც ველარ გამოვასწორებთ“** და საქვეყნო ტრაგედიაა განათლების სისტემისათვის, რომ ქართველ მოსწავლეებს წაკითხულის გააზრება უჭირთ.

იმ ფონზე, როცა ქართულ შრიფტს ლათინურით ანაცვლებენ, არა მარტო თინეიჯერები ,,მესიჯების“ დროს, არამედ საქვეყნო საზოგადოებრივი დაწესებულებები თავინთი შეტყობინებების გადმოცემის დროს, ერთგვარ დაცინვასავით აღიქმება სიმამაყე იმის გამო, რომ იუნესკომ ქართული დამწერლობა მსოფლიოს მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა და ქართულ ანბანს არამატერიალური მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

სამწუხაროა, რომ 15 საუკუნოვან ქართულ ანბანს ჩვენს თვალწინ ხელიდან ეცლება საფუძველი.

პატივცემული მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე დასკვნის სახით წერს, რომ „საერთაშორისო კვლევით ქართველ მოსწავლეებს წაკითხულის გააზრება უჭირთ, რადგან საკმაოდ დიდმა ნაწილმა ცუდად იცის მშობლიური ანბანი ლათინური შრიფტის გათავისების გამო, რასაც გარემო პირობები უწყობს ხელს.

ქართული კულტურის ათასწლოვანი ძლიერების მარგალიტის - მშობლიური ენის გადარჩენა იმედს გვაძლევს, რომ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და წარმატებების მისაღწევად ერთობლივი შრომაა საჭირო.

ამ დასკვნას პირადად მე მთლიანად ვიზიარებ.

P.S. ქართული ანბანის ეროვნულ ძეგლად გამოცხადებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას, ქართველოლოგის, როგორც მეცნიერების პოპულირაზაციას საერთაშორისო დონეზე, ქართული ენის სწავლების სრულყოფას და ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ქართველოლოგიის, მეცნიერებმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, განათლების სამინისტრომ, სკოლებმა, ქართულის ენის მასწავლებლებმა, მათ ვისაც ევალება ზემოთ ჩამოთვლილი სერიოზული პრობლემების მოგვარება. ქართული ენა და მისი დამწერლობა უნდა გადარჩეს. ენის სიკვდილი ხომ ერის სიკვდილის წინაპირობაა.

მოამზადა ვალერიან ლომაძემ.

პოლიტიკური არჩევანი

საზოგადოება არის ის წყარო, საიდანაც მომდინარეობს პოლიტიკა და ძალაუფლება!

ამჯერად, რუბრიკის „პოლიტიკური არჩევანი“ სტუმარი გახლავთ, ბორჯომელი ახალგაზრდა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე, პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით იღებს განათლებას. ბიორგი დათუნიშვილი IV კურსელია. მან გაცვლითი ვიზიტის ფარგლებში მოინახულა ევროპარლამენტი, ევროსაბჭო, ევროსასამართლო და ნატოს შტაბ-ბინა. ინტერვიუში გთავაზობთ მის პოლიტიკურ შეხედულებებსა და მოქალაქეობრივ პოზიცია.

რატომ მიიღე პოლიტიკურ მეცნიერებებზე სწავლის გადაწყვეტილება?

- პოლიტიკურ მეცნიერებებზე სწავლა აბიტურიენტობის დროს გადავწყვიტე, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ბავშვობა ინფორმაციული ტექნოლოგიები მაინტერესებდა, აბიტურიენტობისას დავფიქრდი და მივხვდი, რომ ჩემთვის პოლიტიკური მეცნიერებების შესწავლა უფრო საინტერესო იქნებოდა და ამ მხრივ უფრო ეფექტურად შევძლებდი ჩემი უნარების გამოყენებას, რაც არა მარტო მე, არამედ სხვა ადამიანებსაც მოუტანდა სიკეთეს. ამ პერიოდში მეტად მიმიზიდა ისეთმა საგნებმა, როგორიცაა: სოციოლოგია, პოლიტიკური ფილოსოფია და ფსიქოლოგია, ამ ყველაფრის სინთეზი კი ვფიქრობ, სწორედ პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე იყო შესაძლებელი.

ევროპარლამენტში ევროპული საგანმანათლებლო ცენტრისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელებულმა ვიზიტმა საბოლოოდ დამარწმუნა ჩემ სწორ გადაწყვეტილებაში.

გვითხარი, როგორია თქვენი მოქალაქეობრივი არჩევანი და როგორ პოლიტიკურ მომავალს ისურვებდი საქართველოსათვის?

- ჩემი მოქალაქეობრივი არჩევანი არის ის, რომ ვიზრუნო ჩემი, როგორც მოქალაქის ჩამოყალიბებასა და სწორად განვითარებაზე, რაც ვიმედოვნებ, რომ დადებითი შედეგის მომტანი იქნება ჩემთვისაც და სახელმწიფოსთვისაც. საქართველოს პოლიტიკურ მომავალს რაც შეეხება, ვისურვებდი პოლიტიკური და სოციალური გარემოს დასტაბილურებას, საზოგადოებაში სწორი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას, ჩვენსავე შეცდომებზე სწავლას და ამ გზით განვითარებას, რაც საბოლოოდ გვაჩვენებს გზას იმისთვის, რომ სრულყოფილ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ, რომელსაც გააჩნია საკუთარი და უნიკალური პოლიტიკური კურსი.

მოგვიყვანეთ, მინიმუმ სამი არგუმენტი, თუ რატომ არის გიორგი დათუნიშვილის პოზიცია სწორი?

- ისტორიულად რთულია რომელიმე პოზიციას სწორი ან არასწორი დავარქვათ, ვინაიდან კაცობრიობა ათასობით წელია ჯერ კიდევ ვერ თანხმდება იმაზე, თუ როდის რომელი პოზიცია იყო სწორი. თუმცა ჩემი ზემოთხსენებული პოზიციის გასამყარებლად საკმაო არგუმენტები მაქვს. როცა ვამბობ, რომ ჩემი მოქალაქეობრივი არჩევანი საკუთარი თავის სწორად განვითარებაა, ვიხსენებ არისტოტელეს და ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ადამიანი პოლიტიკური ცხოველია, ასევე ვიაზრებთ იმას, რომ საზოგადოებები სწორედ ჩემნაირი ინდივიდებისგან შედგება, ამიტომ მივიჩნევ, რომ თუ საზოგადოებაში ბევრი სწორად მოაზროვნე ინდივიდი იქნება, შესაძლებელი იქნება ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ეს კი არის სწორედ ის რაც წინ უძღვის ძლიერი პოლიტიკური სისტემის არსებობას. აქედან გამომდინარეობს ჩემი მეორე არგუმენტიც, პოლიტიკური კულტურა არის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ქვეყნის პოლიტიკური ამინდისა, პოლიტიკურ კულტურას კი სწორედ საზოგადოება აყალიბებს.

საქართველოს ჭირდება საკუთარი და უნიკალური პოლიტიკური სისტემა. დედამიწაზე 200-მდე სახელმწიფოა, ეს სახელმწიფოები კი რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, შეუძლებელია, რომ სისტემამ, რომელიც მუშაობს აშშ-ში, იმუშავოს აღმოსავლურ სახელმწიფოში, ან თუნდაც სხვა ევროპულ სახელმწიფოში, ვინაიდან ამერიკული პოლიტიკური სისტემა შექმნილია ამერიკელი ხალხისთვის, მისი შემქმნელი კი თავად ამერიკელი ხალხია. იგივე შეგვიძლია ვთქვათ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკაზეც, რომელიც საკმაოდ განსხვავდება აშშ-გან, თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ ორივე მათგანი მუშაობს, ეს კი იმიტომ ხდება, რომ ამ სახელმწიფოებმა ძალიან დიდი გზა გაიარეს იქამდე, სანამ იმ პოლიტიკას დანერგავდნენ, რომელიც მათ ხალხზე იქნებოდა მორგებული, ეს პრაქტიკული მაგალითები წარმოადგენს მთავარ არგუმენტს იმისა, თუ რატომ უნდა ეცადოს ქართველი ერი საკუთარი პოლიტიკური სისტემის შექმნას მრავალი დავის, აზრთა სხვადასხვაობის და განხილვის საფუძველზე.

როგორია გიორგის ხედვით ბორჯომის განვითარებისათვის მისაღები პოლიტიკა და როგორი უნდა იყოს კარგი პოლიტიკოსი?

- ბორჯომი, როგორც დანარჩენი საქართველო, განვითარებისთვის საჭიროებს კიდევ ბევრ ცვლილებას, ეს ცვლილებები კი ვფიქრობ, რომ ფუნდამენტურად საზოგადოებას ეხება, საზოგადოება არის ის წყარო, საიდანაც მომდინარეობს პოლიტიკაც და ძალაუფლებაც, შესაბამისად საჭიროა საზოგადოების სწორად განვითარება, რათა გატარდეს სწორი პოლიტიკა. რაც შეეხება კარგი პოლიტიკოსის ცნებას, რთული საკითხია, რადგან დღევანდელ მსოფლიოში ეს პროფესია ავტომატურად ასოცირდება ხარბ, ცრუ, მატყუარა ადამიანებთან, რომლებიც დემაგოგიისა და ხალხის მოტყუების მეტს არაფერს აკეთებენ, თუმცა პოლიტიკოსების მსგავსი დემონიზირება არაა სწორი, პოლიტიკაშიც, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა პროფესიაში, არსებობენ კარგი და ცუდი ადამიანები. ვინაიდან პოლიტიკოსის ობიექტურ მოვალეობად დღეს ითვლება სახელმწიფოს ერთგულება და სწორ გზაზე გაძღოლა, მეც მივიჩნევ, რომ კარგი პოლიტიკოსი უნდა იყოს საკუთარი საქმის და საკუთარი ქვეყნის ერთგული, თუმცა აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები ხშირად ქვეყნის სამართავად საჭირო გადაწყვეტილებები დიდი დოზით პრაგმატიზმს მოითხოვს, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხშირად მიუღებელიც შეიძლება აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ კარგი პოლიტიკოსი შეიძლება იყოს ისეთი ადამიანი, ვინც სწორად პოულობს ბალანსს პატრიოტიზმსა და პრაგმატიზმს შორის, ასევე ადამიანი, როელიც მოწოდებით არის პოლიტიკოსი, როგორც ვებერი წერდა, ესაა მისთვის ერთადერთი საქმიანობა და ამისთვის არის გაჩენილი.

გთხოვთ, გაიხსენოთ მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელმაც დიდი გამოცდილება დაგიტოვათ?

- ვფიქრობ, ყველაზე დიდი გამოცდილება სწორედ სტუდენტობის პერიოდმა მომცა, რადგან მოცემული 4 წლის მანძილზე მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ ჩემს ხელთ არსებული რესურსები მაქსიმალურად გამომეყენებინა პოლიტიკური მეცნიერებების სფეროში არსებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მისაღებად, ამ პერიოდში გავიცანი ბევრი პროფესიონალი, გავეცანი ბევრ ნაშრომს და ჩამომიყალიბდა მრავალი მოსაზრება. ეს ყველაფერი კი საკმარისია იმისთვის, რომ მივიჩნიო სტუდენტობა ცხოვრების ამ ეტაპზე ყველაზე დიდი გამოცდილების მომცემ პერიოდად.

და ბოლოს, როგორ ბორჯომში ისურვებდი ცხოვრებას?

- ბორჯომი ჩემთვის ასოცირდება მშვიდ, პატარა ქალაქთან, ლამაზი ბუნებით. მეც ვისურვებდი ისეთ ბორჯომში ცხოვრებას, სადაც შენარჩუნებულია ეს თვისებები, თუმცა ზემოთხსენებული ცვლილებებიდან გამომდინარე ყველაფერი კიდევ უფრო უკეთესადაა.

სამომავლო გეგმებზეც გვითხარი რამდენიმე სიტყვა?

- სამომავლოდ ვგეგმავ პოლიტიკური მეცნიერებების მიმართლებით სწავლის გაგრძელებას და ამ მხრივ საკუთარი თავის განვითარებას, როგორც თეორიული ცოდნის ხარჯზე, ასევე სხვა მაგალითების შესწავლით, ჩემი კვლევის სფეროს ამ ეტაპზე პოლიტიკისა და ციფრული ტექნოლოგიების კავშირია, მინდა სამომავლოდ ამ თემას დიდი დრო და რესურსები დავუთმო.

დღეს კი ვცდილობ, მრავალი მიმართულებით მივიღო გამოცდილება, იქნება ეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებთან დაკავშირებული პროექტები, Ist სფერო თუ სპორტი, სამუშაო გამოცდილებაც შესაბამისად მრავალ სფეროს ეხება, ვცდილობ მონაწილეობა მივიღო ბევრ საინტერესო პროექტში, რომელიც უკეთესი ინდივიდების და საზოგადოების ჩამოყალიბებას უკავშირდება, ასევე ვიღებ დიდ გამოცდილებას უცხოურ ბაზარზე მუშაობით, რაც ჯერჯერობით უმეტესად საინფორმაციო ტექნოლოგიებს უკავშირდება.

იზა იანვარაშვილი

აქტუალური ინტერვიუ

„არიან ქალები,- მუდამ რომ მზე დგას მათ თვალებში“

არიან ადამიანები, რომ გაიცნობ, მზე ჩაგეღვრება სულში... უცბად მახლობელი ხდება, თან ცოტათი გიკვირს და... გიხარია. ასე დამემართა ქალბატონ ნათელა გოგოლაძესთან შეხვედრის პირველივე წამებიდან. ურთიერთობაში საოცრად უშუალო, განწონასწორებული, აკადემიური და საყვარლად სასიამოვნო... კიდევ იყო სხვაც, ამ ყველაფერთან, არანაკლებ მნიშვნელოვანი - შინაგანი კულტურა. ქალბატონი ნათელა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სამცხე-ჯავახეთის სამხარეოს უფროსია. შარშან მომიწია მასთან მცირე დროით სათანამშრომლოდ და მომნუსხა ყველანაირად... ჩვენი ბორჯომი ხომ პატარაა და ყველა ყველას ცნობს, ძალიან ახლოდან თუ არა, შორიდან მაინც, ჰოდა, ვინც შორიდან იცნობს, მინდა, უფრო ახლოდან გავაცნო.

ქალბატონო ნათელა, თითოელ ჩვენთაგანს აქვს ამ ცხოვრებაში თვითრეალიზაციის საკუთარი კონცეფცია. თქვენ კარიერაში სიმაღლეს მიაღწიეთ და დღეს ჭეშმარიტად შემდგარი ქალბატონი ხართ. მოდით, წარსულში გადავინაცვლოთ და გაგვენდეთ, როდის დაისახეთ მიზნად ეს გზა?.. და თქვენი პირველი სამუშაო დღე საქსტატში?..

- ოო, ეგ საკმაოდ დიდი ხნის წინ იყო... უჭირდა ქვეყანას... მოუწესრიგებელი გარემო... შეშის ღუმელი... ქაღალდებზე წერა... 35 ლარი ხელფასი... თავიდან დავიწყე მუშაობა ეკონომისტად, შემდეგ განყოფილების უფროსად და მერე რეგიონის უფროსად. სიმართლე გითხრათ, ბავშვობიდან ვიყავი მიზანდასახული და ზედმეტად მშრომისმოყვარეც.

ოჯახს როგორი ქალი შეშვენის?

- უდავოდ მოწესრიგებული, შემდგარი, ყურადღებიანი და მზრუნველი.

რამდენიმე სიტყვით საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალის როლსა და შესაძლებლობებზე...

- ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ მთავარს ვიტყვი - ქალს აქვს სამშვიდობო ინიციატივებების წარმატების უნარი. მნიშვნელოვანია, ქალებს მივცეთ ამის რწმენა, მათ ხომ პოლიტიკური და საზოგადოებრივი დღის წესრიგის შექმნის დიდი პოტენციალი აქვთ.

რას ურჩევდით ქალებს? რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ წარმატებულები იყვნენ?

- მუდამ უნდა იყვნენ მზად ზრდის შესაძლებლობებისათვის, როდესაც ის გამოჩნდება. მაგრამ ახსოვდეთ: ზრდა და კომფორტი ერთად არ არსებობს. იყვნენ მართალნი, თავაზიანნი, კეთილგანწყობილნი, აკონტროლონ დრო, ისწავლონ, არ დაკმაყოფილდნენ იმ ცოდნით, რასაც ფლობენ, მეტი და მეტი მოთხოვონ საკუთარ თავს და არ დაევიწყებინოთ ურთიერთობების ფასი.

რა თვისება განგასხვავებთ სხვებისაგან?

- ეგ შეკითხვა შეიძლება მათ დაუსვათ ჩემზე, ვინც მიცნობს. მე კი ერთი შემიძლია გითხრათ: ბედნიერი ვარ, რომ ორსახოვანი ადამიანი არ ვარ, თუ მიყვარს - მიყვარს,.. უანგაროდ...

ყველაზე მეტად გულს რა გტკენთ?

- უმადურობა და ღალატი.

რომელიმე დევიზს თუ მისდევთ?

- ჩემი დევიზი? - უნდა იყო ნიჭის მარგალიტი და გარშემო გონივრულად შემოიკრიბო საზრიანი, საუკეთესო ადამიანები.

რისი გჯერათ ყველაზე მეტად?

- ღმერთის.

დამისახელეთ თქვენთვის ორი მნიშვნელოვანი რამ...

- სიყვარული და მშვიდობა. და კიდევ - ადამიანობა მთელი თავისი არსით.

როგორ ფიქრობთ, რა არის ყველაზე დიდი უსამართლობა საზოგადოებაში?

- სიყვარულისა და ერთგულების არდაფასება.

რომელია თქვენი საყვარელი მოგონება ბავშვობიდან?

- მშობლებთან გატარებული ყოველი წუთი და წამი.

არის თუ არა, რომელიმე ადგილი ჩვენს რაიონში, სადაც გსურთ წასვლა, მაგრამ რაღაცნაირად არასდროს არ მოგეცათ ამის საშუალება?!..

- კი! ცხრაწყაროზე ყოველთვის მინდოდა წასვლა და მინდა ახლაც, რათა ვნახო, როგორ ამოდის მზე, რომელიც საოცრება ყოფილა.

ვაი, როგორ დავამთხვიეთ სურვილებში.

- უდავოდ კარგის ნიშანია. იქნებ გამოჩნდეს ვინმე და სხვა მზისფერფარფლება უღალატო სურვილთაგან, ეს ერთ-ერთი, ფოთლებივით ქარის მატარებელზე გაყოლას არ დაანებოს და... აგვისრულოს... იქნებ..!

უფლებამოსილი რომ იყოთ, რას გააკეთებდით პირველ რიგად ჩვენს ქალაქში?

- ავაშენებდი კეთილმოწყობილ სახლს, სადაც ჩემი რაიონის ყველა შეჭირვებულს ვაცხოვრებდი და თავს ღირსეულად ვაგრძნობინებდი (ეს თემა მტკივა).

იმედის, ღიმილისა და ყვავილების პერიოდი დგას... რას ინატრებდით?..

- როგორც ნებისმიერი ქართველი ვინატრებდი: გაერთიანებული და აყვავებული საქართველოს ხილვას! სეზონს რაც შეეხება - გაზაფხული... ეს პერიოდი ყველაზე საყვარელია ჩემთვის (მე საერთოდ ბუნების უზომოდ მოყვარული ვარ), ყოველთვის ახლის დასაწყისს მაგონებს, მასთან ერთად მეც ვიღვიძებ, მიჩნდება ახლის დაწყების სურვილი და სიცოცხლის ხალისი მიბრუნდება. გაზაფხული ხომ ცვალებადია, მაგრამ მასში ყველანაირი ამინდი მიყვარს, რადგან სითბოში, წვიმაში, მზესა და სიცივეშიც კი იგრძნობა გაზაფხულის თავისებური არომატი და სურნელი. ეს პერიოდი განუმეორებელია, ვგიჟდები, როცა ვხედავ სოფელსა და ქალაქს ყვავილებში ჩაფლულს, ხასხასა სიმწვანეს... ამ დროს საოცარ სურნელს შევიგრძნობ ხოლმე... და ჩიტების განსხვავებულ ჭიკჭიკს. ეს პერიოდი უყვარდა საოცრად ჩემს უსაყვარლეს დედას და შემაყვარა უზომოდ...

დიდი მადლობა უაღრესად გულწრფელი საუბრისათვის. ინტერვიუს დავასრულებ მოდის ფრანგ დიზაინერის კოკო შანელის ციტატით: - „არის დრო, როცა მუშაობ და არის დრო, როცა გიყვარს. სხვა დრო აღარ რჩება“... თქვენი ვერსია.

- ყველაფრისთვის დაგრჩება დრო, თუ გონივრულად გამოიყენებ.

ნანა კევლიშვილი

იუბილარი

ასაკი მხოლოდ ციფრებია

ქალბატონ თამრიკო დათუნიშვილს ბორჯომში ყველა იცნობს, საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი დედის, ასევე ბორჯომელთათვის პატივსაცემი ქალბატონის, მედიკო დავითაძე-დათუნიშვილის ღირსეული ღვაწლის გამგრძელებელია. მედიცინა მის ცხოვრებაში სულ არსებობდა, რადგანაც ქალბატონი მედიკო რაიონის სამეანო განყოფილების უფროსი ექთანი გახლდათ, ასევე გახლდათ ექიმ კოსმეტოლოგი, ამზადებდა სხვადასხვა სახის სამკურნალო მალამო-საცხებს. სწორედ ამიტომაც, ქალბატონ თამრიკოსაც მომავალი პროფესიის შერჩევისას დიდხანს არც კი უფიქრია და სკოლის დასრულების შემდეგ თავდაპირველად ვეტერინარულ მიმართულებაზე ჩააბარა, ხოლო დასრულების შემდეგ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ექიმთა დახელოვნების ცენტრში ლაბორატორიული მიმართულების ექიმის წოდება მიენიჭა და აგერ უკვე თითქმის 46 წელია ბორჯომის რაიონში ლაბორატორიული განყოფილების მენეჯერად მუშაობს. ქალბატონ თამრიკოს მეუღლეც ავთანდილ აჩელაშვილი ექიმი გახლდათ. მის ოჯახში მედიცინა ერთგვარი ტრადიციაა, რადგანაც შვილებიც აკაკი, ნინო და ანაც ექიმები არიან. ქალბატონი თამრიკო ამბობს, რომ წლების წინ სამედიცინო ამბულატორია არსებობდა რაიონის თითქმის ყველა სოფელში. შესაბამისად, თანამშრომელთა რიცხვიც საგრძნობლად მრავალრიცხოვანი იყო, ხოლო დღეს ,,ჯეოჰოსპიტალსის“ ლაბორატორიულ განყოფილებას მენეჯერი, ექიმი და ორი ლაბორანტი ემსახურება. დღეს ბორჯომის რაიონში არსებულ კერძო ლაბორატორიებსა თუ სამკურნალო დაწესებულებებში მომუშავე ლაბორანტები სწორედ ქალბატონი თამრიკოს აღზრდილები არიან, რითიც ძალიან ამაყობს. როგორც ღვაწლმოსილი ქალბატონი აღნიშნავს, მისთვის და მისი გუნდისთვის, ნამდვილად მნიშვნელოვანია პირველ რიგში ადამიანების ნდობა და ის დიდი სიყვარული, რასაც ისინი გრძნობენ თითოეული პაციენტის მიმართ და ანალოგიურად გრძნობენ მათი მხრიდანაც. შესანიშნავ ქალბატონს, საკუთარ საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებულ პიროვნებას 7 აპრილს 70

წელი უსრულდება. **კითხვაზე, ეთანხმება თუ არა გამოთქმას, რომ ასაკი მხოლოდ ციფრებია - ამბობს, რომ დიახ, ნამდვილად ასეა, რადგანაც ყველაფერი შინაგანი ბუნებიდან მოდის, როგორც შინაგანად გრძნობ თავს, სწორედ იმ ასაკის ხარ ადამიანი. მოსახლეობისა და გაზეთ „ბორჯომის“ სახელით ვულოცავთ ქალბატონ თამრიკოს 70 წლის იუბილეს, ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას ვუსურვებთ \პროფესიულ საქმიანობაში.**

ნატო მელიქიძე

(წერილი დაფინანსებულია)

ქალი სამხედრო სამსახურში

ბაკურიანელ ეთერ ქიმერიძეზე ბევრჯერ მოგვიყოლია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. მრავალმხრივ განვითარებული, ენთუზიაზმით და კრეატიული იდეებით სავსე ეთერი ძირითადად კულტურულ საქმიანობაზეა ორიენტირებული. ჩვენც მის ამ საქმიანობაზე გიყვებოდით და მისი აქტიურობიდან გამომდინარე, მომავალში კიდევ მოგიყვებით. თვითნასწავლი მხატვარი და პროფესიით ფსიქოლოგი საბავშვო თეატრალური დასის სულის ჩამდგმელია და უკვე არაერთი ბრწყინვალე დადგმით წარსდგა მაყურებლის წინაშე.

თუმცა დღეს სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ეთერზე მოგითხრობთ. დიახ, ის 104-ე ბატალიონის პირველი ასეულის რეზერვისტია, რეზერვისტების მესამე ნაკადის მონაწილე. ის ერთ-ერთი პირველი შეუერთდა რეზერვისტების რიგებს. ოჯახში ჯარისკაცთა გარემოცვაში გაიზარდა - ბიძა და ორი უფროსი ძმა საქართველოს საჰაერო ძალების წარმომადგენლები იყვნენ, მეუღლე კი სასაზღვრო პოლიციაში მუშაობდა. ამ ფაქტმა განაპირობა მისი პატივისცემა და ინტერესი სამხედრო სამსახურის მიმართ. ოჯახის მამაკაცების სამხედრო ფორმებს ხშირად ირგებდა და ქვეცნობიერის დონეზე გრძნობდა, რომ ერთ მშვენიერ დღესაც მას თავისი პირადი სამხედრო ფორმა ექნებოდა.

თუმცა მამა 7 წლის ასაკში დაკარგა, მისი პატრიოტული აღტკინება ძალიან კარგად ახსოვს. სწორედ მამის პატრიოტულმა ლექსებმა გაუღვივა განსაკუთრებული სიყვარული სამშობლოს მიმართ. როდესაც პირველად სამხედრო ფორმა მოირგო, განსაკუთრებით გული დასწყდა, რომ მამა ვერ ხედავდა, რადგან ზუსტად იცოდა, რომ ის მისით იამაყებდა. ეთერის გადაწყვეტილებას ჯარში წასულიყო დედა, ქალბატონი ლარისა მშვიდად შეხვდა. ქალიშვილს იმდენად კარგად იცნობს, სულ არ გაკვირვებია ეთოს ეს გიჟური ნაბიჯი. სამაგიეროდ მოზარდი ვაჟიშვილი დაიბნა, თუმცა, იარაღით და სამხედრო ფორმით სამშობლოს სადარაჯოზე მყოფი დედის ხშირად ნახვის შემდეგ სიამაყით აივსო. ოჯახის უძვირფასესი წევრების დადებითი შეფასება ყველაზე დიდი სტიმული აღმოჩნდა ეთერისთვის.

,,- სამხედრო სამსახური განსაკუთრებული გამოცდილებაა, - ამბობს ეთერი, - ფორმის ტარება მხნეობას და გამბედაობას სძენს ადამიანს. სამხედრო სწავლებების ეტაპზე ხდები მეტად დისციპლინირებული, გიკაჟდება როგორც სხეული, ასევე სულიც. სამოქალაქოზე გავდივარ თუ არა, ენერგიით და ხალისით ვარ სავსე, გამვლელებსაც ფეხს ვუწყობ ქუჩაში. პატრიოტიზმის შეგრძნება გამაისმაგდა, ეს იმ ადამიანების დამსახურებაა, ვინც იქ, ბაზაზე მეუბნება - შენ ყველაფერს შეძლებ! მეთაურების სიძლიერე და კეთილგამწყობა, მათი პატრიოტიზმის შეგრძნება ყველაზე დიდი მოტივაციაა რეზერვისტებისთვის. ძალიან დიდი პატივია მერქვას მათი თანამებრძოლი. ადამიანი ქვეყანას და თავის ერს უნდა გამოადგეს. ჯარში მსახურებით კიდევ ერთი დიდი ოჯახი შევიძინე. იყო ჯარისკაცი ნიშნავს იყო ამაყი და ძლიერი სქესის მიუხედავად“.

რუსუდან სხირტლაძე

ადამიანები ბორჯომიდან - ისტორია №7

თემურ კაპანაძე, „ბორჯომის მინერალური წყლების“ მთავარი ინჟინერი

თითქმის 40 წლის წინ, თემურ კაპანაძისა და კომპანია „ბორჯომის“ გზები გადაიკვეთა და დაიწყო ისტორია, რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. პროფესიით ჰიდროტექნიკოსია. სწავლის დასრულების შემდეგ, საქართველოში დარჩენას არ აპირებდა, თუმცა გარემომ იმდენად მოხიბლა, რომ საქმიანობის საზღვრებს გარეთ გაგრძელების ნაცვლად, ბორჯომში დარჩენა გადაწყვიტა და დღემდე, კომპანიის და საკუთარი პროფესიის ერთგულია.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, არაერთ კომპანიაში მუშაობდა, თუმცა ხანგრძლივად არსად გაჩერებულა. „ბორჯომი“ აღმოჩნდა ის ერთადერთი ადგილი, სადაც ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები გაატარა. ეს ისტორია უმცროსი ინჟინრის პოზიციიდან დაიწყო, 2002 წლიდან კი მთავარი ინჟინრის პოზიციით გაგრძელდა.

-„მთავარი ინჟინრის საქმიანობა ძალიან საპასუხისმგებლოა, ჩემს პროფესიაში მთავარია გადაწყვეტილების სწრაფად მიღება, რაც საქმეს განსაკუთრებით საინტერესოს და კიდევ უფრო საპასუხისმგებლოს ხდის. ჩვენ ყოველდღიურად ვამოწმებთ როგორც საბადოს მდგომარეობას, ისე ჭაბურღილების, ელექტრო დანადგარების და მილსადენის სრულყოფილად ფუნქციონირებას“, - ასე გვიყვება თავის ყოველდღიურ საქმიანობაზე ბატონი თემური და თან „ბორჯომმინწყლების“ ისტორიულ შენობაში გვმასპინძლობს, რომელიც სტუმრების



ყურადღებას დღემდე იპყრობს. საქმის მიმართ ერთგულება და სიყვარული მისი ცხოვრების თანმდევია, სწორედ ამ ორ მთავარ პრინციპს უზიარებს შვილებსაც და ახალ თაობასაც, ვისთვისაც ცოდნის და გამოცდილების გაზიარება მისთვის დიდი სიხარულია.

ნათელა გრიგალაშვილი

ახლებური ინტერპრეტაციით

21 მარტს ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის, ვაჟა-ფშაველას ყველასათვის კარგად ნაცნობი ნაწარმოები - **„შვლის ნუკრის ნაამბობი“** - სრულიად ახლებური ინტერპრეტაციით შესთავაზა, რომლის რეჟისურა, ინსცენირება, მუსიკალური გაფორმება და სცენოგრაფია იყო საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელისა და რეჟისორის - **ნიკოლოზ საბაშვილის**. რეჟისორმა ავტორის სხვა ნაწარმოებებითაც იხელმძღვანელა, გააერთიანა ვაჟას პერსონაჟები და გააცოცხლა თოჯინების სახით, რომ ბავშვებისთვის უფრო ახლობელი და გასაგები გაეხადა ისეთი მარადიული თემები, როგორიცაა: დედა-შვილობა, კაცთმოყვარეობა, ბუნების სიყვარული, ადამიანური სისასტიკე და სხვ. რომ ცოცხალია ყოველი სულდგმული: ფრინველიცა და ცხოველიც, ქვაცა და ბალახიც, ხმელი ფესვებიცა და ობლად ამოსული ყვავილიც... მაყურებელი პატარა ნუკრთან ერთად ეცნობა ამ საოცარ სამყაროს და მისი ნაწილი, მისი გულშემატკივარი ხდება. მომავალში კი მეტად გაუფრთხილდება ბუნებას, მის შვილებს და შეეცდება, არ მიაყენოს ზიანი.

სპექტაკლის ჩვენებები დღემდე გრძელდება სავსე აუდიტორიის ფონზე.

შვლის ნუკრის ნაამბობი

ვაჟა ფშაველა

რეჟისორი: ნიკოლოზ საბაშვილი

გილოცავთ!

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს!

გამარჯვებით გვევლოს მუდამ!

კანდიდატის სტატუსი ხომ
გვიჭერია უკვე ხელში,
დიდ ევროპამ ქართველები
დაგვიყენა ახლა გვერდში.

საქართველო არ იცხოვრებს,
არც წყვდიადში, აღარც ბნელში
და ქართველიც გასწორდება,
ბოლო-ბოლო მჯერა წელში.

აგერ უკვე დიდ ფეხბურთშიც
დავამარცხეთ საბერძნეთი,
და „დინამო არენა ზე“
გავიტანეთ „ლელო“ მკერდით.

ისიც გვახსოვს, საქართველო
რომ აღმდგარა ბევრჯერ მკვდრეთით,
მტერთან მიტომ ვიმარჯვებდით,
ჩვენთან იყო მუდამ ღმერთი.

რა გონიათ, აბა, ბერძნებს,
რომ მოგვპარეს საწმისიო,
ჩვენ კი საგზური წავართვით,
რომ ეგონათ თავისიო.

აგერ მოვა ივნისი და
გერმანიას ვესტუმრებით,
დიდ ფეხბურთსაც ვითამაშებთ
გამარჯვების იმედებით.

ცაზე ახლა ჩვენი მზეა
და ვარსკვლავი ჩვენი ბრწყინავს,
ისიც ვიცით, რომ უფალი
დღესაც იცავს ქართულ მიწას.

ბევრი ვნახეთ გამარჯვება,
დამარცხებაც ვნახეთ ბევრი,
ისიც გვახსოვს, ერთად იდგა,
როს გვიჭირდა ერიც, ბერიც.

დღესაც გვინდა ერთობა, რომ
გავიტანოთ ბევრი ლელო,
გამარჯვებით გევლოს შუდამ
ჩემო ტკბილო საქართველო.

ჯემელ ბიბილური.

26/III 2024 წელი.

გაზაფხული, დედა, სამშობლო

ახალდაბის საქალაქო ბიბლიოთეკამ შესანიშნავი ღონისძიება ჩაატარა, რომელიც მიეძღვნა დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს. (ბიბლიოთეკის გამგე ДАЛИ ЦОНЦЛАДЗЕ).

ღონისძიებაზე მოწვეული ყავდათ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ქვიშხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები (დირექტორი ШАНАНА БАСИАШВИЛИ).

არაერთი ღონისძიების ორგანიზატორმა **ИРМА МАРТИНЕНКОМ** სხვადასხვა ღონისძიებისათვის მადლობა გადაუხადა **МАИА БОГИТИШВИЛЬ**ს მის მიერ მომზადებული სცენარისათვის.

IV,V,VI,VII კლასის მოსწავლეებმა მშვენიერი ნომრები წარმოადგინეს: სიმღერით, ცეკვით, ლექსით, რომელიც მიუძღვნეს: ,,გაზაფხულს, დედას, სამშობლოს“.

ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა კორტანეთის სკოლის პედაგოგი **ТИНА БЛИАДЗЕ**. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა მუსიკის პედგოგმა **ТАМАР ХАЧИДЗЕ**.

სასიამოვნო იყო, რომ ახალდაბის კულტურის სახლის დარბაზი სავსე იყო მაყურებლით, მივეფერეთ ხუთ და მეტშვილიან დედებს. დიდი სითბო გამოხატეს იმ დედების მიმართ, რომლებიც საზღვარგარეთ იღვწიან შვილების უზრუნველი ცხოვრებისათვის.

ღონისძიება შემაჯამებელი სიტყვით დაასრულა ბიბლიოთეკების ღონისძიების კოორდინატორმა **ГАНУЛИ САЛАДЗЕ**, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ერთსულოვანი დასწრებისათვის.

ფრაზები და გამონათქვამები

თუ ღმერთი შენთან არის, რისი გეშინია, და თუ არ არის, მაშინ რისი იმედი გაქვს.

სერბეთის პატრიარქი პავლე.

დედობრივ სიყვარულზე ძლიერი სამყაროში არაფერია! დაულოცო უფალი ყველა დედას ყველა შვილი!

მეუღლეს შეიცნობ განქორწინების, დედმამიშვილებს - მემკვიდრეობის გაყოფისას, შვილებს - როდესაც მოხუცდები, მეგობრებს - კი გაჭირვებისას.

შენც რომ გიჭირს და სხვას მაინც ეხმარები - აი ეგაა სიკეთე.

რომ არ მცალია და დროს გამოყოფ, - აი ეგაა, ყურადღება.

ცემას რომ იმსახურებს და არ სცემ, - აი ეგაა ნამდვილი ძალა.

წყენას რომ ივიწყებ და მაინც გიყვარს, - ეგაა ნამდვილი პატიება.

როცა გალანძღვის ღირსია და არაფერს ეტყვი, - აი, ეგაა თავშეკავება.

მეგობარს არ ვირჩევ სიმდიდრის მიხედვით, ვინ როგორ ცხოვრობს, ან ვის როგორ აცვია,

არ მინდა, ჩემ გვერდით, არვინ ისეთი, ღარიბზე რომ იტყვის, მე რაში მარგია.

მეგობარს არ ვირჩევ, თვალების ფერით და არ ვზომავ მის ასაკს, წონას ან სიმაღლეს.

ჩემთვის მეგობარი ჯილდოა ღმერთისგან, უფლის წყალობა ამ ცოდვილ მიწაზე.

ანზორი (ჯემალი) ებრალიძის გახსენება

დრო ისე მიდის, არ კურნავს უშენობის ჭრილობას. წლები მხოლოდ ერთმანეთს მიყოლებული რიცხვებია. ამჯერად უკვე მეათედ ვხვდებით უშენოდ დაბადების დღეს. გიხსენებთ და გნატრობთ მოსიყვარულე, თბილ, ერთგულ და უღალატო კაცს, რომელიც ოჯახს, მეგობრებს და ნათესავებს დააკლდა, მაგრამ სიკეთე და სითბო დაუტოვა მათ...

სანთლები, ყვავილები და ლოცვა იყო ამ დღეს შენთვის მოლოცვა. ყველაზე დიდი სათხოვარი კი უფალთან გვქონდა, რათა მოიხსენოს შენი სული, სავანესა მართალსა დააწესოს და მოგმადლოს საუკუნო ცხოვრება!

გიხსენებს ოჯახი.

უბნის სამეგობრო ბესიკ ზაქარეიშვილი, გოჩა მაისურაძე, ალექსანდრე ტაბატაძე, ალექსანდრე სამსონიძე, რაგული ლეკიშვილი, გოგიტა ტალახაძე, ზვიად ანდღულაძე, ნიკო თევდორაძე, თამაზ ლაფაჩი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მერაბ იობაშვილს ძმის

გია იობაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20. WWW. colorgroup.ge
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

კალათბურთის ტურნირი ბორჯომში

ბორჯომში ორგანიზაციებს შორის კალათბურთის ტურნირი დაიწყო, ტურნირს უკვე ტრადიციული ხასიათი აქვს და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ტარდება.

ტურნირი ბორჯომის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა თანამედროვე და სპორტული ცეკვების ჯგუფმა „სილუეტმა" გახსნა.

ტურნირში ბორჯომში არსებული დაწესებულებების გუნდები მონაწილეობენ.

პირველ შეხვედრა IDS BORJOMI-ს და Crowne Plaza-ს გუნდებს შორის გაიმართა. გამარჯვება Crowne Plaza-ს გუნდმა მოიპოვა.

I ადგილზე გასულ გუნდს 1500 ლარი, II ადგილზე გასულ გუნდს 1000, ხოლო III ადგილზე გასულ გუნდს 500 ლარი გადაეცემა.

ტურნირს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ГИОРГИ ТАБАТАДЗЕ** და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფინალისტების ვინაობა ერთ კვირაში გახდება ცნობილი.

წარმატება იტალიურ ალპებში

იტალიის კურორტ კოლერეში ფსშ-ის შეჯიბრება ჩატარდა სკი კროსის სახეობაში, სადაც საქართველოს ნაკრების წევრებმა **ДАВИТ ТЕДИАШВИЛМА, ЛАША КУРТАНИДЗЕ** და **БЕДА БЕРДЗЕНИШВИЛМА** იასპარეზეს. შეჯიბრში განსაკუთრებულ წარმატებას **ДАВИТ ТЕДИАШВИЛМА** მიაღწია, რომელმაც საპატიო მეორე ადგილი დაიკავა. ბერძენიშვილი და კურტანიძე კი შესაბამისად მე-11 და მე-20 ადგილებზე გავიდნენ. შეჯიბრება კი იტალიელმა მოთხილამურე ფილიპო ზამბონიმ მოიგო.